სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
08845041155126

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261595812

რეგისტრაციის თარიღი

11.11.2026 წ

ნოტარიუსი: ნათია მარუაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი 92, I სართული
ტელეფონი: 032 2774500; 591 92 70 85

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის თერთმეტ ნოემბერს, მე, ნოტარიუსს ნათია მარუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №92-ში, პირველ სართულზე, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, **ქალბატონმა ცისანა ელერდაშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ სურს დავალების მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ქალბატონმა ცისანა ელერდაშვილმა** (დაბ. 20.06.1948წ. პირადი №01017017230, მცხ.: თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. №10/2-ში) მომმართა.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაექვსი წლის თერთმეტ ნოემბერს, **ქალბატონმა ცისანა ელერდაშვილმა** (დაბ. 20.06.1948წ.), რომლის რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ,

წინამდებარე მინდობილობით **ბატონ მიხეილ ჯამასპიშვილს** (დაბ. 11.10.1978წ. პირადი №14001001415) და/ან **ბატონ ჯემალ აბაიშვილს** (დაბ. 15.03.1971წ. პირადი №01009002578), შემდგომში როგორც „მინდობილ პირებს“, ერთობლივად ან/და ცალ-ცალკე დამოუკიდებლად მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. <u>მინდობილი პირი</u> უფლებამოსილია წარმოადგინოს ჩემი ინტერესები ქ. თბილისის მერიაში, მის დაქვემდებარებულ ყველა სამსახურში, მათ შორის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურში", ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ურბანულ სამსახურში, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ორგანიზაციებში (მათ შორის საჭიროებისამებრ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში") და ასევე კერძო პირებთან, რათა განახორციელოს ყველა საჭირო და კანონიერი ქმედება, რაც საჭიროა/დაკავშირებულია ჩემი ანუ ჩემი სახელით ჩემს საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე, პროექტის მომზადების, შეთანხმებების, დემონტაჟის, მშენებლობის ნებართვების აღებასთან, განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებასთან (გრგ) და სამშენებლო საქმიანობის წარმოებასთან) წარადგინოს, გამოითხოვოს, დაადასტუროს, დააკორექტიროს, ჩაიბაროს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, შეიტანოს ცვლილებები უკვე წარდგენილ დოკუმენტაციაში. ჩემი ანუ „მინდობილობის გამცემის" სახელით მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებებში მშენებლობის ნებართვების მისაღებად. წინამდებარე მინდობილობით განსაზღვრული დავალებების შესრულების მიზნით, ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის განცხადებებს, წერილებს და ა. შ. დარეგისტრირდეს სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის" ელექტრონულ პორტალზე და აწარმოოს საამისოდ ყველა საჭირო პროცედურა. ასევე იყოს ჩემი წარმომადგენელი კომუნალურ სამსახურებში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, ჩემი სახელით დაწეროს განცხადებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეიყვანოს კომუნიკაციაბი (დენი, წყალი, გაზი, ინტერნეტი) დამარეგისტრიროს აბონენტად, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს. განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რაც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ საჭიროა განსაზღვრული დავალების - ჩემი, ანუ „მინდობილობის გამცემის" სახელით ჩემს საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე პროექტების მომზადების, პროექტების ცვლისების, შეთანხმებების და მშენებლობის ნებართვების აღების, გადავადების შესასრულებლად.

2. <u>მინდობილი პირი</u> უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, მის ნებისმიერ სამსახურში, იგი უფლებამოსილია ჩემი სახელით ჩააბაროს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის ნებისმიერი დასკვნა/შეფასება, მოაწეროს ხელი ჩემი სახელით ყველა საჭირო დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ჩემი სახელით ნებისმიერი დასკვნის მისაღებად/გამოსატანად.

მინდობილობა გაცემულია შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

მიმნდობი პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება. გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე მინდობილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მინდობილობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთ არსებული ყველა ეგზემპლარი დაუბრუნოს მიმნდობ პირს.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სულ: ოცდასამი (23,00) ლარი, აქედან: საზღაური – თვრამეტი (18,00) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და ხუთი (5.00) ლარი - ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 39-ე მუხლის I პუნქტისა.

მიმნდობი: --

ნოტარიუსი: ნათია მარუაშვილი


დამოწმებულია და
შეკერილია
ფურცლად
ნოტარიუსი